საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახური

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი № 002622

28 ოქტომბერი 2021 წ.

ქ. თბილისი

თვითმმართველი ქალაქი/მუნიციპალიტეტი

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის [illegible] [illegible] [redacted] [illegible] [redacted]

ოქმის შემდგენლის თანამდებობა, სახელი და გვარი

2. სამართალდამრღვევი: შპს „[illegible]" ს/ნ 209448613 იურიდიული მის: ქ. [illegible] [illegible] N 11 ([illegible]) [illegible] ქ. [illegible] N 6/6 ([illegible]) [illegible]

სახელი, გვარი, პირადი №, მისამართი ფაქტობრივი/რეგისტრაციის მიხედვით; იურიდიული პირის შემთხვევაში – დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი, მისამართი ფაქტობრივი/რეგისტრაციის მიხედვით

3. მოწმე(ები)/დაზარალებულ(ებ)ი (არსებობის შემთხვევაში):

სახელი, გვარი, მისამართი

4. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და არსი:

2021 წლის 08 ოქტომბერს შპს „[illegible]"-ს (ს/ნ 209448613) [illegible] (ქ. [illegible] N 6/6) [illegible] [illegible] N477 [illegible] N340 [illegible] N 70 [illegible] N 297 [illegible] N 01-15/ნ [illegible]

5. დარღვეულია საქართველოს ორგანული კანონი "შრომის უსაფრთხოების შესახებ" მუხლი 22, პუნქტი 1 მუხლი 23, პუნქტი 1

მუხლი, პუნქტი, ქვეპუნქტი

6. დარღვევის გამოსასწორებლად მიცემული ვადა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): 40 (ორმოცი) დღე

7. სახდელის სახე, ოდენობა: გაფრთხილება (ლარი – ჯარიმის შემთხვევაში)

სიტყვიერად

8. დამრღვევის ახსნა-განმარტება: [illegible]

9. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენისას დამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები.

10. ოქმის შემდგენელი: [redacted] / [redacted] /

სახელი და გვარი

11. სამართალდამრღვევი: [redacted] / [redacted] /

სახელი და გვარი ხელმოწერა

12. მოწმე: / /

სახელი და გვარი ხელმოწერა

13. დაზარალებული: / /

სახელი და გვარი ხელმოწერა

14. დოკუმენტები, რომლებიც ერთვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს: ფოტოები (დანართი N1)

საქმის გადასაწყვეტად საჭირო ცნობები, მასალები და ა.შ.; დამრღვევის ახსნა-განმარტება ან მის მიერ წარმოდგენილი სხვა მასალები

15. შენიშვნა: [illegible]

16. სამართალდამრღვევი პირის მიერ ხელმოწერაზე ან/და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ჩაბარებაზე უარის თქმის შესახებ აღნიშვნა:

დამკვეთი: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი -,,შრომის ინსპექციის სამსახური."
დამამზადებელი: შპს კაბადონი+
სემგს-ს რეგისტრაციის № 11-5748

შენიშვნა

ოქმის მეორე მხარეს აღინიშნება:
ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენისას დამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები: ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს მშობლიურ ენაზე; თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; კანონმდებლობით დადგენილი 10 დღის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 272-ე მუხლით დადგენილი წესით გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება (გადაწყვეტილება) ოქმის შემდგენლის ზემდგომ თანამდებობის პირთან (მის.: ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. №144), რომლის გადაწყვეტილება საჩივრდება რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში.

გაფრთხილება!

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, დამრღვევმა ჯარიმა ნებაყოფლობით უნდა გადაიხადოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ჩაბარებიდან (გაცნობიდან) 30 დღის განმავლობაში. აღნიშნულ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამართალდამრღვევს დაერიცხება საურავი დაკისრებული ჯარიმის ორმაგი ოდენობით. საურავის დაკისრებიდან 30 დღის ვადაში ჯარიმის ან/და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში განხორციელდება საჯარიმო სანქციის ...

დანართი 1

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს
სსიპ შრომის ინსპექციის სამასხური
მისამართი: თბილისი, თამარაშვილის ქ. 15ა

მ ი თ ი თ ე ბ ა № 002622/ო

შედგენის თარიღი 28.10.2021 წ.

შრომის უსაფრთხოების ნორმების შემოწმების განმახორციელებელი სამსახური დამრღვევის მიმართ სახდელის სახედ გაფრთხილების ან ჯარიმის გამოყენების შემთხვევაში გასცემს მითითებას გონივრული ვადაში გამოსწორების მიზნით. საქართველოს ორგანული კანონის „შრომის უსაფრთხოების შესახებ" 18-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

სამართალდამრღვევი

კომპანიის დასახელება: შპს „ლიდერ პლასტი"
საიდენტიფიკაციო ნომერი: 209448613
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, მუხაძის ქ. (ორხევი) 11, ნაკვეთი 2/23
ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, მუხაძის ქ. (ორხევი) 6/6
კლასიფიკატორები (NACE 2016): პლასტმასის სხვა ნაწარმის წარმოება (22.29.0)
დირექტორი:
შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი:

„შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე 2021 წლის 8 ოქტომბერს განხორციელდა ინსპექტირება შპს „ლიდერ პლასტი"-ს კუთვნილ საწარმოო ბაზის ტერიტორიაზე (მის:ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, მუხაძის ქ. (ორხევი) 6/6) სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის ინსპექტორების მიერ. ინსპექტირების პროცესში მოვახდინეთ დამსაქმებელთან და დასაქმებულებთან გასაუბრება, ობიექტის დათვალიერება, ფოტო-ვიდეო გადაღება, გამოვითხოვეთ და გავეცანით დოკუმენტაციას.

ინსპექტირების შედეგად გამოიკვეთა შრომის უსაფრთხოების ნორმების შემდეგი დარღვევები:

ინსპექტირების პროცესში ორგანიზაციამ წარმოადგინა პოლიტიკის დოკუმენტი, ასევე, საფრთხეების იდენტიფიცირების და რისკების შეფასების დოკუმენტი, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების რისკის შემცირების ან აღმოფხვრის ღონისძიებებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს ყველა სახის საქმიანობის დროს და საწარმოს მმართველობის ყველა დონეზე. კომპანიის მიერ წარმოდგენილი საფრთხეების იდენტიფიცირების და რისკების შეფასების დოკუმენტში არ არის სრულად აღწერილი ობიექტზე არსებული ყველა დასაქმებულებზე მომდინარე საფრთხე, მაგალითად:

- ✓ ობიექტზე არსებული მოუწესრიგებელი ელ.კაბელებისგან/ელ.კარადებისგან მომდინარე საფრთხეები;
- ✓ საკომპრესოროში არსებული მაღალი ძაბვის ელ.გამანაწილებელ კარადა არ არის აღჭურვილი დიელექტრიკული ხალიჩით, რაც ზრდის დასაქმებულის დაზიანების რისკს;
- ✓ ობიექტზე არსებული ღიობები არ არის დაფარული დამცავი ფენილით და/ან მოაჯირით, ასევე მაფრთხილებელი ნიშნებით, რაც წარმოქმნის დასაქმებულის ვარდნის საფრთხეს;
- ✓ აუზის უკან არსებული წვადი მასალების ნარჩენებისგან (დაპრესილი პლასტმასი) მომდინარე საფრთხეები, ასევე აღნიშნული ნარჩენების არასწორი დასაწყობება ზრდის ხანძრის გაჩენის რისკს;
- ✓ მექანიკურ საამქროში დაღვრილი საპოხი მასალებისგან ფიზიოლოგიურად შეიგრძნობა არასასიამოვნო სუნი, ასევე დაღვრილი საპოხი მასალები ზრდის მოცურების რისკს;
- ✓ საკომპრესოროში დასაწყობებული საპოხი მასალები მოთავსებულია არაიდენტიფიცირებად ჭურჭელში, რაც ქმნის დასაქმებულების მხრიდან არასწორად გამოყენების რისკს;
- ✓ მექანიკურ საამქროში არ არის აღჭურვილი შესაბამისი სავენტილაციო სისტემებით, რაც ქმნის დასაქმებულების მომწამვლელი ნივთიერებების მომეტებული კონცენტრაციით შესუნთვის საფრთხეს;
- ✓ ობიექტზე არ არის შეფასებული ფიზიკური, ქიმიური ფაქტორებისგან გამოწვეული მავნეობები;
- ✓ ობიექტზე ღია მდგომარეობაში არსებული მბრუნავი მექანიზმები ქმნის ჩათრევის/ჩაყოლის საფრთხეს;
- ✓ სასაწყობე ზონაში მიმდინარე სადემონტაჟო სამუშაოებზე არ არის იდენტიფიცირებული საფრთეები და შეფასებული რისკები.

საწარმოს ტერიტორიაზე არსებული დაცვის სამსახურის სამუშაო ადგილი საჭიროებს კეთილმოწყობით სარემონტო სამუშაოებს, დაზიანებულია იატაკის და კედლების საფარველი და მოძველებულია ინვენტარი, რაც საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას და აუარესებს დასაქმებულთა შრომით პირობებს. აღნიშნული გარემოება საწარმოო პროცესის სხვა საფრთხის შემცველ გარემოებებთან ერთად გაითვალისწინეთ რისკის შეფასების შესაბამის ფორმაში და მოახდინეთ შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გატარება. აღნიშნულის გათვალისწინებით შესაბამისი პასუხისმგებელი პირის მითითებით განხორციელდეს სანიტარულ ჰიგიენური პროცესების მართვა.

საწარმო არ არის აღჭურვული შესაბამისი კოლექტიური დაცვის საშუალებებით, კერძოდ: ობიექტზე არსებული მბრუნავი მექანიზმები არ არის აღჭურვილი კოლექტიური დაცვის საშუალებებით. იმ ადგილებზე, სადაც არსებობს სიმაღლიდან ვარდნის პოტენციური საფრთხე, არ არის დამონტაჟებული მოაჯირები. ობიექტზე არსებული ღიობები არ არის დაფარული დამცავი ფენილით და მაფრთხილებელი ნიშნებით/წარწერებით. საკომპრესოროში არსებული მაღალი ძაბვის ელ.გამანაწილებელ კარადა არ არის აღჭურვილი დიელექტრიკული ხალიჩით. საწარმოს ტერიტორიაზე არსებული ელექტროგამანაწილებლები ღია მდგომარეობაშია, ასევე, ელექტროკაბელები არ არის იზოლირებული.

შპს „ლიდერ პლასტი"-ს დასაქმებულები არ არიან სრულად აღჭურვილნი შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით, მაგალითად: მექანიკურ საამქროში დასაქმებულები არ არიან აღჭურვილნი შესაბამისი სპეც.ტანსაცმელით და სპეცფეხსაცმლით. 1000 ვოლტამდე მაღალი ძაბვის ელექტროდანადგარებთან მუშაობისას დასაქმებული არ არის უზრუნველყოფილი დიელექტრიკული ხელთათმანებით.გამომდინარე იქედან, რომ საწარმოო სივრცეში არ არის შეფასებული ფიზიკური და ქიმიური ფაქტორები, დამსაქმებელს არ აქვს იდენტიფიცირებული სხვა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით დასაქმებულების აღჭურვის საჭიროება.

სამუშაო ადგილებზე არ ხორციელდება მიკროკლიმატის, მავნე ფიზიკური და ქიმიური ფაქტორების გაზომვები და შედეგების შეაფასება, კერძოდ, საწარმოო ზონაში არ არის შეფასებული ხმაურის დონე, დანადგარებისგან გამოწვეული მექანიკური რხევების (ვიბრაციის) დონე, სამუშაო ტემპერატურა და ტენიანობა. მექანიკურ საამქროში არ არის შეფასებული მიკროკლიმატის პარამეტრები, ჰაერში მავნე ნივთიერებების კონცენტრაციები, ხმაურის დონე. საწყობის ოპერატორის სამუშაო ადგილას, დაცვის ოთახში, სასადილოსა და სამზარეულოში და საოფისე სივრცეში არ არის შეფასებული ტემპერატურა, ტენიანობა. აღნიშნულიდან გამომდინარე არ ხდება შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გატარება რისკის კონტროლის იერარქიის დაცვით.

კომპანიამ ვერ წარმოადგინა სამუშაო პროცედურების, მანქანა-დანადგარების, სამუშაო ტექნიკისა და სამუშაო აღჭურვილობის უსაფრთხო გამოყენებისა და შეკეთების ინსტრუქციები და სახელმძღვანელოები.

შიდა მარეგულირებელი ნორმებით ობიექტზე არ არის განსაზღვრული ალკოჰოლურ, ფსიქოტროპულ და ნარკოტიკულ თრობაზე პასუხისმგებელი პირი.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 13 ივლისის№216/ნ ბრძანების „პროფესიული დაავადებების ნუსხისა და იმ პროფესიული საქმიანობის ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, რომელსაც თან ახლავს პროფესიული დაავადების განვითარების რისკი" შესაბამისად, აღნიშნული ობიექტის პროფესიული საქმიანობას (პლასტმასის ნაწარმის (ჭურჭლის) წარმოება) თან ახლავს პროფესიული დაავადებების რისკები. გამომწვევი მავნე ფაქტორები შეიძლება იყოს პლასტმასის მტვრისა და ორთქლის მოქმედება და განვითარდეს პროფესიული დაავადება: საწარმოო აეროზოლებით გამოწვეული სუნთქვის ორგანოების პროფესიული პათოლოგია, კერძოდ, პლასტმასის მტვრით გამოწვეული პნევმოკონიოზი, ასევე, მტვრისმიერი პროფესიული ბრონქიტი. პნევმოკონიოზი მიეკუთვნება პროფესიულ დაავადებებს, კერძოდ, საწარმოო მტვრის ხშირი

ჩასუნთქვით გამოწვეულ დაავადებებს. პნევმოკონიოზი ქრონიკული დაავადებაა, რომელიც თანდათანობით ვითარდება. დაავადების მიმდინარეობა დამოკიდებულია შრომის პირობებზე (სამუშაო შენობაში ჰაერის დამტვერიანების ხარისხი და შემადგენლობა), თანმხლები დაავადებების (განსაკუთრებით სასუნთქი ორგანოებისა და გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების) არსებობა/არარსებობაზე, ორგანიზმის ინდივიდუალურ მგრძნობელობაზე. პნევმოკონიოზი შეიძლება განვითარდეს ფილტვების ანთებით, ტუბერკულოზით, ქრონიკული ბრონქიტით, ბრონქოექტაზიური დაავადებით. ასევე, აღნიშულ ობიექტზე პროფესიული დაავადების გამომწვევი მავნე ფაქტორი შეიძლება იყოს პოლისტიროლის პლასტმასის ფისები. შპს ლიდერ პლასტი გამოიყენებს პოლისტიროლის პლასტმასს ერთ-ერთ ნედლეულად. პოლისტიროლის პლასტმასის გადადნობისგან შედეგად წარმოქმნილი პოლისტიროლის ფისისგან გამოწვეული პროფესიული დაავადება შეიძლება იყოს კონტაქტური დერმატიტი, რადგან კანს აქვს უარყოფითი რეაქცია გამღიზიანებელზე (პოლისტიროლზე). რომელიც ვითარდება კანსა და უცხო ნივთიერებას შორის კონტაქტით. ობიექტზე არ არის შეფასებული ფიზიკური და ქიმიური ფაქტორები, აქედან გამომდინარე დამსაქმებლის მხრიდან არ ხორციელდება პრევენციული ღონისძიებების გატარება შესაძლო პროფესიულ მავნეობებზე. შესაბამისად, ზედამხედველი ორგანოს მიერ მოხდა მწვავე ან ქრონიკული პროფესიულ დაავადებაზე გონივრული ეჭვის მიტანა.

<u>შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევების საფუძველზე გაიცა შემდეგი მითითებები:</u>

N	გაცემული მითითებები
1	შეიმუშავეთ, თანმიმდევრული პრევენციის ღონისძიებების პოლიტიკა, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს საწარმოო გარემოს და შრომის პროცესის თავისებურებებს. საფრთხის შემცველი ფაქტორების ანალიზის საფუძველზე შეიმუშავეთ წერილობითი დოკუმენტი თანმიმდევრული პრევენციული ღონისძიებების შესახებ, რომელიც დაფუძნებული იქნება სამუშაო სივრცეში და სამუშაო ადგილებზე საფრთხეების იდენტიფიცირების, რისკის შეფასების და მართვის სისტემაზე. კერძოდ: 1. გამოავლინეთ საფრთხის შემცველი ფაქტორები; 2. გამოავლინეთ ის დასაქმებულები რომლებიც იმყოფებიან საფრთხის ქვეშ; 3. შეაფასეთ რისკები და დაგეგმეთ გასატარებელი ღონისძიებები; 4. გაატარეთ შესაბამისი ღონისძიებები საფრთხეების აღმოფხვრისა და რისკების შესამცირებლად; 5. აწარმოეთ სისტემატური მონიტორინგი და აკონტროლეთ ნარჩენი რისკები. სამუშაო ადგილზე და სამუშაო სივრცეში განსაზღვრეთ კონკრეტული დანადგარებიდან, საწარმოო პროცესებიდან გამომდინარე საფრთხეები და დანერგეთ რისკის შეფასების და მართვის სისტემა. საკონტროლო ღონისძიებების განსაზღვრისას გაითვალისწინეთ ადამიანური ფაქტორები და ნარჩენი რისკები.

	საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მუხლი 6, პუნქტი 1. „ა,ბ,გ,დ,ე,ვ.“ ქვეპუნქტები. **საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 30 იანვარის ბრძანება №01-15/ნ**
2	დამსაქმებელი ვალდებულია გასწიოს სამუშაო სივრცეში შრომის უსაფრთხოებასთან და სანიტარიულ-ჰიგიენურ ღონისძიებებთან დაკავშირებული ყველა ხარჯი. **საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მუხლი 5, პუნქტი 10.**
3	საწარმოში არსებული ღია მდგომარეობაში მყოფი მბრუნავი მექანიზმები აღუჭურვოს კოლექტიური დაცვის საშუალებებით, კერძოდ დამცავი ფარით. **საქართველოს ორგანული კანონი „ შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მუხლი 6, პუნქტი 2. „ვ“ ქვეპუნქტი და მუხლი 6, პუნქტი 1. „ ზ“ ქვეპუნქტი.**
4	საწარმოს ტერიტორიაზე არსებული გამოუყენებელი აუზი და ადმინისტრაციის შენობაში მეორე სართულზე ასასვლელ კიბის ბაქანზე აღიჭურვოს დამცავი მოაჯირებით. **საქართველოს მთავრობის დადგენილება №477 2017 წლის 27 ოქტომბერი „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე. მუხლი 5**
5	ეზოში არსებული სათვალიერებელი თხრილი დაფარული უნდა იყოს სპეციალური ხუფით ან/და ფენილით. ღიობების ხუფებს უნდა ჰქონდეს გამაფრთხილებელი წარწერა – „ორმო“ („HOLE“) და „ხუფი“ („COVER“). **საქართველოს მთავრობის დადგენილება №477 2017 წლის 27 ოქტომბერი „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე. მუხლი 15.**
6	საკომპრესოროში არსებულ 1000 ვოლტამდე მაღალი ძაბვის ელექტროდანადგართან სამუშაო შესრულდეს მაიზოლირებელ სადგარზე ან/და რეზინის დიელექტრიკულ ხალიჩაზე დგომით; **საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 დეკემბერის დადგენილება №340 „ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების ტექნიკის წესების დამტკიცების შესახებ“ მუხლი 6, პუნქტი 5 „ბ“ ქვეპუნქტი.**
7	ელექტროდანადგარების შენობის, კამერების, ფარების და შემკრებების (გარდა იმ კამერებისა, რომლებშიც მიმდინარეობს მუშაობა) კარები დაკეტილი უნდა იყოს ბოქლომით.

	საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 დეკემბერის დადგენილება №340 „ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების ტექნიკის წესების დამტკიცების შესახებ“ მუხლი 5, პუნქტი 12.
8	სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე დასაქმებული აღჭურვეთ აუცილებელი ეფექტური ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით. უზრუნველყავით ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სისუფთავე და ტექნიკური გამართულობა. გააკონტროლეთ მათი სწორად გამოყენება და საჭიროების შემთხვევაში დროულად შეცვალეთ ისინი. **საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მუხლი 5, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ვ.ბ“. მუხლი 6, პუნქტი 3, „ზ“ ქვეპუნქტი.**
9	1000 ვოლტამდე მაღალი ძაბვის ელექტროდანადგარებთან მუშაობისას გამოყენებულ იქნეს დიელექტრიკული ხელთათმანები. **საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 დეკემბერის დადგენილება №340 ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების ტექნიკის წესების დამტკიცების შესახებ მუხლი 6, პუნქტი 5 „გ“ ქვეპუნქტი.**
10	დამსაქმებელი და საწარმოს ხელმძღვანელობა ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პერიოდულობით შეამოწმოს, გაზომოს და შეაფასოს საწარმოო გარემოს ფიზიკური(მიკროკლიმატის პარამეტრები, საწარმოო ხმაური, ვიბრაცია,მტვერი) და ქიმიური ფაქტორები (ჰაერში მავნე ნივთიერებების შემცველობა). ასევე დაგეგმოს/დანერგოს და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები, რათა ზემოთხსენებულმა ფაქტორებმა საფრთხე არ შეუქმნას როგორც დასაქმებულებს, ასევე სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირების სიცოცხლეს და ჯანმრთელობას. **საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს ბრძანება №297/ნ „გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების დამტკიცების შესახებ“.** **საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება №69 „საწარმოო სათავსების მიკროკლიმატისადმი წაყენებული ჰიგიენური მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“.** **საქართველოს მთავრობის დადგენილება №70 2014 წლის 15 იანვარი - სამუშაო ზონის ჰაერში მავნე ნივთიერებების შემცველობის ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების დამტკიცების შესახებ.** **საქართველოს ორგანული კანონი „ შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მუხლი 5, პუნქტი 1. „ზ.ა“ და „ზ.ბ“ ქვეპუნქტები.**
	დასაქმებულებს ჩაუტარდეს სწავლებები და ინსტრუქტაჟები, კანონით გათვალისწინებული პერიოდულობით. მიაწოდეთ ინფორმაცია მათთვის გასაგებ ენაზე უსაფრთხო შრომის პრინციპების, სამუშაო პროცედურების, მანქანა დანადგარების, სამუშო ტექნიკის, სამუშაო აღჭურვილობის გამოყენების და

11	შეკეთების ინსტრუქციების შესახებ, ასევე საგანგებო სიტუაციების, საევაკუაციო ღონისძიებების და მათი განხორციელების შესახებ. **საქართველოს ორგანული კანონი „ შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მუხლი 5, პუნქტი 2, პუნქტი 3**
12	შიდა მარეგულირებელი ნორმებით განისაზღვროს ალკოჰოლურ, ფსიქოტროპულ და ნარკოტიკულ თრობაზე პასუხისმგებელი პირი. **საქართველოს ორგანული კანონი „ შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მუხლი 6, პუნქტი 3, „ი“ ქვეპუნქტი.**
13	ზედამხედველი ორგანოს მიერ მოხდა მწვავე ან ქრონიკული პროფესიულ დაავადებაზე გონივრული ეჭვის მიტანა. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 12 სექტემბრის N 01-11/ნ ბრძანება სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების აღრიცხვის წესის და ფორმის, მოკვლევის პროცედურებისა და ანგარიშგების წესის დამტკიცების თაობაზე“-ს მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად შესაძლო პროფესიული დაავადების გამომწვევი მიზეზ(ებ)ის დადგენის მიზნით დამსაქმებელი ზედამხედველი ორგანოს მიერ ეჭვის მიტანის შემთხვევაში, ვალდებულია შექმნას პროფესიული დაავადების მოკვლევის ჯგუფი ან/და საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს შესაბამისი დარგის სპეციალისტები: „პროფესიული პათოლოგიების“ მიმართულებით სპეციალიზებული ექიმ-სპეციალისტ(ებ)ი ან/და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტ(ებ)ი (ჰიგიენის, გარემოს ჯანმრთელობის და გარემოს და პროფესიული მედიცინის და სხვ. შესაბამის სფეროში) ან/და ქიმიკოსი ან/და ტოქსიკოლოგი და სხვა, რომელთა მომსახურების ხარჯებს სრულად ფარავს დამსაქმებელი. ზემოაღნიშნული ღონისძიებები გაატაროთ კანონით განსაზღვრულ ვადებში და მიაწოდოთ სამინისტროს ინფორმაცია მისი შედეგების შესახებ. **საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 12 სექტემბრის N 01-11/ნ ბრძანება სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების აღრიცხვის წესის და ფორმის, მოკვლევის პროცედურებისა და ანგარიშგების წესის დამტკიცების თაობაზე“ მუხლი 4, „გ“ქვეპუნქტი**

<u>მითითების გამოსასწორებელი ვადა შეადგენს 40 (ორმოცი) კალენდარულ დღეს.</u>

დამრღვევის ახსნა-განმარტება მითითების ვადასთან დაკავშირებით
(ზედამხედველი ორგანოს მიერ დადგენილი გონივრული ვადა შეიძლება შეთანხმდეს სამართალდამრღვევთან, რომელსაც ხელს აწერს ორივე მხარე)

მითითების გამცემი (თანამდებობა, სახელი, გვარი):

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის სამთო მოპოვებით და მძიმე მრეწველობაზე ზედამხედველობის სამმართველოს, მძიმე მრეწველობაზე ზედამხედველობის განყოფილების მთავარი სპეციალისტი მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი [redacted] სამთო მოპოვებით და მძიმე მრეწველობაზე ზედამხედველობის სამმართველოს, მძიმე მრეწველობაზე ზედამხედველობის განყოფილების მთავარი სპეციალისტი მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, [redacted] სამთო მოპოვებით და მძიმე მრეწველობაზე ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი, მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტ[redacted]

შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის შემოწმების განმახორციელებელი სამსახური ამ გაცემული მითითებით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ ამოწმებს სამართალდამრღვევს, რის შესახებაც დგება შემოწმების აქტი. შემოწმების აქტში აღინიშნება საწარმოს ფაქტობრივი მდგომარეობა მითითების პირობებთან მიმართებით, კერძოდ:
ა) მითითება შესრულდა.
ბ) მითითება არ შესრულდა.

მითითების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შრომის უსაფრთხოების ნორმების შემოწმების განმახორციელებელი სამსახურის უფლებამოსილი პირი იყენებს შესაბამის ადმინისტრაციულ სახდელს და აღნიშნავს მას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმში.

მითითება ჩაიბარა (სახელი, გვარი, პირადი ნომერი)
[redacted]

სამართალდამრღვევის პირის მიერ მითითების ჩაბარებაზე უარის აღნიშვნა

უფლებამოსილი პირები:

[redacted]

სამართალდამრღვევი: [redacted] 28.10.2021.